



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 297

20 11 წ. " 11 " 11

ქ. თბილისი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე განტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და კონსულტაციების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში სამაგისტრო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის №10 სხდომის დასკვნის ოცდამეცხრამეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

დამამტკიცებელი
სსიპ ხოფერია

დამამტკიცებელი
სსიპ ალავეძე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ.თბილისი

11.11.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით კიკალაიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დიმიტრი ალავიძე - შპს ვოლ ფაბლიშინგის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;

თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;

იაგორ კალანდაძე - სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

მიხეილ კორძაბია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

მადონა ჭიშვილი - შპს - „№5 კლინიკური საავადყოფო“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები -

- ნინო ჟვანია;

- გიორგი მენაბდე.

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი -

- ლელა ქელბაქიანი, უნივერსიტეტის რექტორი.

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლები -

- გიგი კაციტაძე აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დეკანი;

- ლ. მჭედლიშვილი მართვისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

- გიორგი მელაძე, უნივერსიტეტის კანცლერი.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები -

- ლაშა გოცირიძე - უნივერსიტეტის რექტორი;

- ლევან ქაჯაია - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- პაატა ტურავა;

- ლევან იზორია;
- დევი ხვედელიანი;
- ლიანა კოროშინაძე;
- ნელი ქემერტელიძე;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები -

- ნინო დურგლიშვილი;
- ნოდარ ხადური

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ირმა ღარიბაშვილი;
- ნინო ქიმერიძე;
- დავით ბოსტოლანაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19² სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო

კვლევის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

31. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზი და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

32. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგია და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

33. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განწყობის ფსიქოლოგია, კვლევა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

34. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

35. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

36. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

37. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

38. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ წარდგენილა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის გიორგი ცხვედიანმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია, თუმცა, სასურველია დაზუსტდეს მიზანში ასახული „კლინიკური უნარ-ჩვევების გაღრმავების“ კონტექსტი;
- პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფს თეორიული და გამოყენებითი მედიცინის მკვლევარისთვის აუცილებელი თანამდროვე თეორიული და კლინიკური ცოდნის მიღებას, მაგრამ პროგრამა ასევე ითვალისწინებს 16 კრედიტიან კლინიკურ პრაქტიკას, რაც დოქტორანტს ეხმარება პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და ავადმყოფის რეაბილიტაციის უნარ-ჩვევების გაღრმავებაში. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კომპონენტი არ არის აუცილებელი პროგრამის შედეგების მისაღწევად;
- მიზნებსა და შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, კლინიკური ეპიდემიოლოგიისა და ბიოეთიკის სასწავლო კურსების ერთ მოდულში გაერთიანება არ არის სასურველი.

გიორგი ცხვედიანმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის საკითხი გამოტანილი იყო აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, თუმცა საკითხის განხილვა გადაიდო პროგრამის ხელმძღვანელის განხილვაში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად.

საბჭოს წევრი, მადონა ჭიიშვილი, დაინტერესდა, მართლაც ღეროვან უჯრედებზე ხორციელდებოდა პროგრამის ფარგლებში კვლევა თუ არა და დაინტერესდა მის განსახორციელებლად აუცილებელი ლაბორატორიით. ასევე, დაინტერესდა სად უნდა მომხდარიყო კლინიკური პრაქტიკის გავლა.

დაწესებულების წარმომადგენლის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, გაა მენაბდის მოსაზრებით, პროგრამის სტუდენტებისთვის აუცილებელია პრაქტიკასთანაც ჰქონდეთ შეხება,

მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზანი კვლევაა. მისი განმარტებით, პროგრამის ერთერთი კომპონენტია ღეროვანი უჯრედების კვლევა, ეს არის პროგრამის ერთერთი ექსპერიმენტული ნაწილი. იგი, როგორც კვლევის საგანი, ისეა შემოტანილი პროგრამაში და არ არის გამოზნული მისი პრაქტიკაში გამოყენება. მისი მოსაზრებით, აღნიშნული კვლევა დოქტორანტებისთვის ძალიან სასარგებლოა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ხიჩანიშვილის კლინიკასთან, რომელსაც აქვს ექსპერიმენტული განყოფილება და ამ ბაზაზე შესაძლებელია კვლევის განხორციელება.

სხდომის თავმდომარე დაინტერესდა აღნიშნული კვლევა თეორიული იყო თუ პრაქტიკული. გაა მენაბდემ განმარტა, დოქტორანტი პროგრამის ფარგლებში იღებს როგორც ფუნდამენტურ განათლებას, ისე ქირურგიულ უნარ-ჩვევებს, ამდენად, არ შეიძლება კვლევას წმინდა პრაქტიკული ხასიათი ჰქონოდეს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიმართულებით სასურველი იქნება ფართო და დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კვლევის დაგეგმვა, კვლევის პროცესში შესაძლებელია ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა.
- სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტესობაში მაღალი ხვედრითი წილი აქვს შუალედურ გამოცდებს და ფინალურ გამოცდას (2 შუალედური გამოცდა 20-25 ქულა თითოეული, ფინალური გამოცდა 40 ქულა). მიზანშეწონილია შეფასების სხვა კომპონენტების განვითარება, როგორცაა ბიზნეს-პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი, ლელა ქელბაქიანი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. დასაქმების ბაზრის კვლევისასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში უკვე სამი წელია რაც დასაქმების ცენტრი შეიქმნა, რომელიც მუშაობს ამ მიმართულებით, თუმცა, უფრო მეტის გაკეთებაც შესაძლებელია. ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში ბიზნეს პროექტების ხვედრითი წილს მომავალში კიდევ უფრო გაზრდიდნენ, თუმცა, ასეთი პროექტები უკვე ჰქონდათ. როგორც კურსდამთავრებულებს, ასევე, სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევს დასაქმების ცენტრი, მათ უტარდებათ ტრენინგები როგორ დაწერონ რეზიუმე და ა.შ. ცენტრი ანალიზებს დამსაქმებლების მოთხოვნებს, ახდენს მათ გამოკითხვას, თუმცა, ამის კიდევ უფრო გაუმჯობესება შესაძლებელი იყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამაში - „ტურისტული ფირმის მენეჯმენტის“ ჩართვა. პრაქტიკაში ამ სასწავლო კურსის სახელწოდებად გვხვდება შემდეგი სინონიმები: ტუროპერეიტინგი; ტურისტული საწარმოს მენეჯმენტი; ტურისტული ფირმის მენეჯმენტი და ა.შ. აღნიშნული დისციპლინის დაუფლებით გაიზრდება სპეციალისტის ტურისტულ ფირმაში დასაქმების შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას მომავალი წლიდან გეგმავდნენ და პროგრამის ამოქმედებამდე აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიმართულებით სასურველი იქნება ფართო და დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კვლევის დაგეგმვა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს რეკომენდაციას და იგი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ პროგრამის აღწერა მწირია და რეკომენდაციის სახით, სასურველია:

- უფრო დეტალურად აღიწეროს პროგრამის მიზნები;
- სწავლების შედეგები/კომპეტენციები დალაგდეს სათანადო დონის კვალიფიკაციათა აღმწერის კრიტერიუმების თანმიმდევრობით;
- სასურველია დასაქმების სფეროები გამოიყოს ცალკე გრაფად;
- შეფასების სისტემა მოცემული იყოს პროგრამაშივე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მისაღებია, თუმცა, დააზუსტა, რომ ზოგიერთ ინფორმაციას არ მოიცავდა პროგრამა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ასახული იყო სილაბუსებში. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა მომავალში იგი დაეკონკრეტებინათ. დასაქმების სფეროს შესახებაც პროგრამაში იყო ინფორმაცია მოცემული, თუმცა, ცალკე გრაფის სახითაც შეიძლებოდა მისი გადმოტანა.

გიორგი ცხვედიანმა, სხდომის თავმჯდომარეს განუმარტა, რომ პროგრამა არ იყო ინფორმაციული. დაწესებულების კანცლერმა, გიორგი მელაძემ აღნიშნა, რომ ინფორმაციას პროგრამა და თანდართული სილაბუსები მოიცავდა, არ იყო აუცილებელი ცალკე თავებად გამოტანა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ პროგრამის აღწერა მწირია და რეკომენდაციის სახით, სასურველია:

- უფრო დეტალურად აღიწეროს პროგრამის მიზნები;
- სწავლების შედეგები/კომპეტენციები დალაგდეს სათანადო დონის კვალიფიკაციათა აღმწერის კრიტერიუმების თანმიმდევრობით;
- სასურველია დასაქმების სფეროები გამოიყოს ცალკე გრაფად;
- შეფასების სისტემა მოცემული იყოს პროგრამაშივე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მისაღებია, თუმცა, დააზუსტა, რომ ზოგიერთ ინფორმაციას არ მოიცავდა პროგრამა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ასახული იყო სილაბუსებში. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა მომავალში იგი დაეკონკრეტებინათ. დასაქმების სფეროს შესახებაც პროგრამაში იყო ინფორმაცია მოცემული, თუმცა, ცალკე გრაფის სახითაც შეიძლებოდა მისი გადმოტანა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- უნივერსიტეტის სტრატეგიიდან გამომდინარე აქცენტირებულია სტუდენტებისათვის ფართო ზოგადი განათლების მიცემა და ანალიტიკური უნარების გამომუშავება, რაც მოცემულ პროგრამაშიც ვლინდება და ზოგადად დადებითი ფაქტია. ამასთან კონკრეტულად სამართლის, როგორც რეგულირებადი პროფესიის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია სამართალმცოდნეობის პროგრამას მიეცეს მეტი შესაძლებლობა გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით.

- კონსტიტუციური სამართლის სწავლება მსოფლმხედველობრივი და სტრუქტურირების თვალსაზრისით კარგად მიმდინარეობს. სილაბუსების შესწავლიდან გამომდინარე გამოიკვეთა და პროგრამა ამ მიმართულებით კიდევ უფრო ეფექტური გახდება, თუ ნათლად იქნება გათვალისწინებული და გარანტირებული (თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის ზეპირი განმარტებისას აღინიშნა, რომ პედაგოგები ამ საკითხებზე მუშაობენ) კონსტიტუციური სამართლის ისეთი ფუნდამენტური და დღეისათვის თავისი პრაქტიკული სამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხების სწავლება, როგორცაა სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზება, ასევე თვითმმართველობა.

- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების გაძლიერების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ისეთი სპეცკურსების სწავლება, როგორცაა სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა.

- წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სამართლის პროფესიის სრულყოფილ შესწავლას ემსახურება, სწორედ აქედან გამომდინარე სასურველია პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „სამართალმცოდნეობის ბაკალავრი“ შეიცვალოს „სამართლის ბაკალავრის“ კვალიფიკაციით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართლის სკოლა დაწესებულებისთვის შედარებით ახალი იყო და მეოთხე კურსის სტუდენტები პროგრამას ჯერ კიდევ არ ჰყავდა, მომავლისთვის შეიძლებოდა კურსების გაზრდა, თუმცა, განმარტა, რომ პროგრამის სტუდენტებს შესაბამისი ცოდნა უკვე ჰქონდათ, რადგან რიგი საკითხებისა, ინტეგრირებული იყო სხვა კურსებში. მისი განმარტებით, სამართლებრივი წერისა და ეთიკის სპეციალური საგანი დაწესებულებას არ აქვს, თუმცა, გათვალისწინებულია სამართლის კლინიკა, სადაც სტუდენტები შესაბამის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავენ. დაწესებულებას ჰყავს იმიტირებული სასამართლოების გუნდები, სადაც სტუდენტებს გამოუმუშავდება სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სამართლებრივი ეთიკის ცალკე კურსის სახით გათვალისწინება, არ იყო მიზანშეწონილი, არამედ იგი ყველა კურსში იყო ინტეგრირებული. კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბჭოზე იმსჯელებდნენ ამ საკითხის შესახებ, თუმცა, ამ მხრივ დარღვევას ვერ ხედავდნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი, როდესაც აღნიშნა, რომ სამართლებრივი ეთიკა ცალკე კურსის სახით არ იყო შეთავაზებული, მაგრამ ინტეგრირებულად ყველა კურსი მიცავდა მას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტებისათვის მოიყვანა კონკრეტული მაგალითი: როდესაც სტუდენტები მუშაობდნენ რაიმე კაზუსზე, არ ხდებოდა მისი განხილვა მხოლოდ კანონთან შესაბამისობისთვის, არამედ, იგი ეთიკურ ჭრილშიც განიხილებოდა.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროფესიას, ისევე, როგორც სხვა პროფესიებს, აქვს თავისი ეთიკის კოდექსი. ცალკეულ კაზუსში, შესაძლოა, ეთიკის ასპექტზეც გაკეთდეს აქცენტი, თუმცა, მაინც აუცილებელია ცალკე კურსად იქნეს შემოტანილი სამართლებრივი ეთიკა, რათა მისი ყველა ასპექტი იქნეს განხილული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მათაოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.
- სასურველია სასწავლო კურსი „მექანიზაცია“ იკითხებოდეს არა არჩევით, არამედ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ნაწილობრივ მისაღები იყო. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლება მიწათმოქმედების საფუძვლები, სადაც აღნიშნული საკითხები განხილულია, რაც სავსებით საკმარისია, ხოლო თუ ვინმე დაინტერესებულია, შესაძლებლობა აქვს არჩევით საგნის სახით ისწავლოს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მათათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია პროგრამაში შეიქმნას საერთო ინტეგრირებული საბაზო ბლოკი (სავარაუდოდ 120 ან 180 კრედიტი) და შემდგომ მასზე დაშენდეს „მექანიზაციის“ , „ელექტროფიკაციის“ და „ჰიდრომელიორაციის“ ცალკეული მოდულები (თითოეული სავარაუდოდ 120 ან 60 კრედიტით). პროგრამაში პირველი-მეშვიდე სემესტრი (შეიძლება უფრო ნაკლებიც) დაეთმოს კრედიტების ისეთ საგნებში ათვისებას, რომლებიც მომავალ ბაკალავრებს განუვითარებენ სამივე მიმართულებისათვის საერთო ზოგად კომპეტენციებს, ხოლო მეშვიდე - მერვე სემესტრებში (შეიძლება უფრო მეტიც) სტუდენტებმა უკვე შეძლონ კრედიტების იმ საგნებში ათვისება, რომლებიც მათ მისცემს საბოლოო შედეგების მიღწევის შესაძლებლობას მის მიერვე არჩეულ ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე (მოდულზე).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამის ვიზუალურ მხარეზე იყო საუბარი და არა მის შინაარსზე, აღნიშნული რეკომენდაცია, დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული ჰქონდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტროინჟინერია და მართვის ავტომატიზებული სისტემების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მათათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასწავლო პრაქტიკა არის მცირე მოცულობით (4 კრედიტი) და ისიც არჩევით მოდულში. მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გადატანა პროგრამის სავალდებულო ნაწილში და მოცულობის შეძლებისდაგვარად გაზრდა;
- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ინტენსიური პროგრამა ჰქონდათ შეთავაზებული, პრაქტიკისთვის მხოლოდ 4 კრედიტი რჩებოდა, თმცა, სტუდენტები ასევე გადიოდნენ სასწავლო პრაქტიკას, დაწესებულების ლაბორატორიაში, რაც ემსახურებოდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზანს. აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას სტუდენტები უმეტესად, სწორედ ლაბორატორიებში იღებენ, რადგან არ არსებობს უნივერსიტეტის საწარმო, რომელიც უნივერსიტეტის გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას და სილაბუსებში უკვე შესაბამისი შესწორებებიც შეიტანეს.

საბჭოს წევრი, მადონა ჭეიშვილი დაინტერესდა, კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზარზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ დასაქმებულიყვნენ ჯანდაცვაში, ნებისმიერ ავტომატიზირებულ წარმოებაში.

თავმჯდომარის მოსაზრებით, პრაქტიკისთვის განკუთვნილი 4 კრედიტი ძალიან მცირე იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა თავმჯდომარეს მოახსენა, რომ პრაქტიკის კომპონენტებს სასწავლო კურსები, გარკვეულწილად, მოიცავდა, თითქმის ყველა საგანში იყო პრაქტიკული ელემენტი. ამ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის სიმწირეზე იყო საუბარი, სანაცვლოდ, სასწავლო პრაქტიკას ითვალისწინებდა პროგრამა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტროინჟინერიისა და მართვის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტროინჟინერიისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების საბაკალავრო პროგრამას საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარია-მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარია-მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარია-მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.
- სასურველია პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა.
- სასურველია საგანს „ზოგადი ტექნოლოგიური პროცესები“ ერქვას „ზოგადი საწარმოო პროცესები“

თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო თუ არა პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება კონკრეტულ კომპანიებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას თანამშრომლობაზე, თუმცა, რთული იყო საბოლოო შეთანხმების მიღწევა, ორგანიზაციები თავს იკავებდნენ სტუდენტებისთვის გაეტარებინათ პრაქტიკლა. ვინდაინდა საწარმოს არა აქვს საწარმოს დაინტერესება რომ სტუდენტს მისცეს პრაქტიკული ცოდნა, სტუდენტსა და საწარმოს შორის ხშირად ხდება ფორმალური შეთანხმება და რეალურად ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი არ იღებს ცოდნას. თუ პრაქტიკა არ არის სავალდებულო და სტუდენტი თავისი ნებით მიდის საწარმოში, ამ შემთხვევაში სტუდენტი უფრო მოტივირებულია და რეალურად სწავლობს საწარმოში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, აღნიშნული პროგრამისთვის აუცილებელი იყო საწარმოო პრაქტიკის გავლა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას შეასრულებდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო დისციპლინა „საინჟინრო ნაგებობები“ ისწავლებოდეს VII სემესტრში, როგორც ძირითადი დისციპლინა, ხოლო დისციპლინა „3/ტ ნაგებობათა მშენებლობა“ არჩევით საგნად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასწავლო კურსის - „სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია და მენეჯმენტის“ სილაბუსში, რომელიც ისწავლება VIII სემესტრში - წინაპირობად მითითებულია შემდეგი სასწავლო დისციპლინები - „საინჟინრო ნაგებობები“ და „3/ტ ნაგებობათა მშენებლობა“.
- სასურველია VIII სემესტრში მითითებული სასწავლო დისციპლინები „სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია და მენეჯმენტი“ და „სამშენებლო სეისმოლოგია და ნაგებობების სეისმომდეგობა“, რომელთაც მინიჭებული აქვთ 7-7 კრედიტი, გადაკეთდეს 5-5 კრედიტიან საგნებად, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების სემესტრული განაწილება ისევე აქვთ, როგორც 5 კრედიტიან საგნებს. (მაგ. „საშენი მასალები და ნაკეთობები“, „საინჟინრო გეოდეზია“, „შენობა-ნაგებობების არქიტექტურა“ და სხვა).
- სასურველია VIII სემესტრში ისწავლებოდეს სასწავლო დისციპლინა “ სატრანსპორტო მშენებლობა”.
- სასურველია VIII სემესტრში არჩევით საგნებად გაითვალისწინოთ შემდეგი სასწავლო დისციპლინები: „შრომის უსაფრთხოება“ - 2 კრედიტი; „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ - 2კრედიტი; „სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები მშენებლობაში“ - 2 კრედიტი;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია, ხოლო რაც შეეხებოდა „შრომის უსაფრთხოებას“ ცალკე დისციპლინად არ ისწავლება, თუმცა

გათვალისწინებულია ცალკეულის საგნების სილაბუსებში, შესაბამისად არ ეთანხმება „შრომის უსაფრთხოების“ ცალკე საგნად სწავლებას.

საბჭოს წევრმა დავით კიკაღვიშვილმა მიმართა ექსპერტს თუ იგი გათვალისწინებული სილაბუსებში შრომის უსაფრთხოების საკითხები და საკმარისი იყო თუ არა პროგრამის განხორციელებისათვის. ექსპერტმა აღნიშნა რომ სილაბუსები არ ითვალისწინებდა შრომის უსაფრთხოებას და სასურველი იქნებოდა „შრომის უსაფრთხოების“ ცალკე დისციპლინად ჩართვა პროგრამაში. ასევე წარმოადგინა ლიტერატურა შრომის კანონმდებლობაში, ასევე უსაფრთხოებაში და გააცნო საბჭოს.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს რომ, მშენებლობაში შრომის უსაფრთხოება იმდენად მნიშვნელოვანია რომ ვერ დაეთანხმებიან იმას რომ აღნიშნული საგნის სწავლება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საბჭოზე 20:48 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:21-ზე

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა რომ, შრომის უსაფრთხოება რეალურად ისწავლება, უბრალოდ არ ჩანდა სილაბუსებში საჭირო რაოდენობით. ექსპერტმა აღნიშნა რომ სილაბუსებში არ იყო ასახული შრომის უსაფრთხოების საკითხები.

საბჭოს წევრმა მადონა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოება იყო უმნიშვნელოვანესი. არსებობდა საერთაშორისო კონვენცია შრომის უსაფრთხოებაში რომელიც არის სავალდებულო ყველასათვის. ექსპერტის თქმით არ ჩანდა სილაბუსებში მისი სწავლება. შესაბამისად ამას შესაძლოა ჰქონოდა შენიშვნის სახე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

15.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს თუ სწავლების რა მეთოდები გამოიყენება სწავლების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას, და აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მომავალში მას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია

17.ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მთლიანად დადებითია და ექსპერტებს შენიშვნა არ აქვთ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18.შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა არის განხორციელებული რეფორმის შედეგი და მისი დადებითი მხარეები განპირობებულია რეფორმის შედეგად მოსული ახალი გუნდის მუშაობით, რაც მნიშვნელოვანი პირობაა პროგრამის წარმატებულობისათვის, მაგრამ სასურველია უნივერსიტეტმა დროულად მოახდინოს პროგრამის საკადრო უზრუნველყოფის ბოლომდე დასრულება, რაც იქნება პროგრამის სრულყოფილად განხორციელების გარანტი.
- სამართლის, როგორც რეგულირებადი პროფესიის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია სამართლის პროგრამას მიეცეს მეტი შესაძლებლობა გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით. დათო ბოსტოლანაშვილი - საჯარო სამართალში მეტი საგნებია.
- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების გაძლიერების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ისეთი სპეცკურსების სწავლება, როგორცაა სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა), ასევე აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთენხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და ისინი უკვე გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ, შესაბამისი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, თუკი საუნივერსიტეტო საგნების ჩამონათვალში, რომლის მოცულობა ჯამში 20 კრედიტია (არჩევითი დისციპლინების ჩათვლით) კონკრეტულად დაემატებოდა ფილოსოფიის შესავალი კურსი ან ფილოსოფიის საფუძვლები, რაც, ექსპერტის აზრით, აღნიშნული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებისათვის არის მნიშვნელოვანი.

- ექსპერტებს მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობად მიაჩნიათ პრაქტიკული (საკომუნიკაციო) ენის სწავლების პროცესში ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა (შესაბამისად, უნდა მოხდეს ცალკეული 'დისციპლინების' გრამატიკა, წერა 1 და საუბრის ხელოვნება, თემა 1 ერთ სასწავლო საგნად წარმოდგენა), რასაც მოითხოვს უცხოური ენების სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო, შესაბამისად, გამარტივდება ენობრივი დონეების შედეგების გაწერა, რაც ამჯერად წარმოდგენილმა სილაბუსებმა ზუსტად ვერ ასახა;

- მიზანშეწონილია, ასევე, ფონეტიკის თეორიული და პრაქტიკული კურსის ინტეგრირება ერთი სასწავლო დისციპლინის ფარგლებში, რადგან ერთი მხრივ უცხოური ენის პრაქტიკული სწავლების კურსი ითვალისწინებს საწარმოთქმო აპარატზე მუშაობას, სწორ მეტყველებას და აუდირების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე ფონეტიკის თეორიული კურსის გავლის პარალელურად სტუდენტი პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესძლებს სრულჰყოს ყველა ის ხარვეზი, რაც მას ექნებოდა უცხოურ ენაზე მეტყველების პროცესში. ამას გარდა, საბაკალავრო კურსი არ ითვალისწინებს კონკრეტული თეორიული კურსების სიდრმისეულ შესწავლას, ეს ფორმატი გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. სასწავლო კურსის ფორმატი (5 კრედიტი) სასურველია, გაითვალოს კვირეული დატვირთვით: 1:3/2:2.

- სასურველია, დარგობრივი კომპეტენციის მიმცემ დისციპლინებზე (იხ., ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, დარგობრივი ლიტერატურის ისტორია) ძირითადი გათვლები გაკეთდეს სტუდენტზე, შესაბამისად, თეორიულ საგნებზე სასურველი იქნებოდა, თუ გაიზრდებოდა სასემინარო საკონტაქტო საათები (მაგ., პროპორციით: 1:3 - თეორიულ სემინარზე, 2:2 -

სალექციო-სასემინარო ფორმატი), სადაც სასწავლო პროცესში ღიად დაფიქსირდებოდა სტუდენტის პრიმარულობა;

- სასურველია, რომ ძირითადი პროგრამის სავალდებულო დისციპლინების საკრედიტო მოცულობა 130 კრედიტიდან შემცირდეს 100 კრედიტამდე, გაიზარდოს ძირითადი დარგობრივი დისციპლინების არჩევითობის წილი, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ზოგადად შრომითი ბაზრის მოთხოვნის მიხედვით შეედგინა საკუთარი საგანმანათლებლო პორტფოლიო;

- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის სასურველია, თუ დარგობრივი არჩევითი კურსებიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა დარგობრივი კურიკულუმის სავალდებულო სიაში დაიკავებს ადგილს და სემინარის მასალა გაითვლებოდა დარგობრივი ტექსტების თარგმანზე, რაც კურიკულუმში ცალ-ცალკეა გაწერილი არჩევითი საგნების ფორმატში (მაგ., პრესის, ბიზნესის ენა). საბაკალავრო კურიკულუმის ფორმატში თარგმანის საკომპეტენციო საგანთა ჩამონათვალში ჩასმა გაზრდიდა კურსდამთავრებულთა დარგობრივ კომპეტენციას და საშუალებას მისცემდა მათ გაეფართოებინათ დასაქმების არეალი (მაგ., ისინი შეძლებდნენ რეფერენტებად, მთარგმნელებად ბიუროებსა გამომცემლობაში დასაქმებას);

- თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ინგლისური ენა აღიარებულია საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებად (lingua franca). მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუ საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია დამატებით პროგრამას (minor) შესთავაზებდა უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამის სტუდენტებს, რომელიც აქცენტირებული იქნებოდა საკომუნიკაციო და დარგობრივი უნარ-ჩვევების გასაღრმავებლად უცხოურ ენაზე სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტთათვის;

- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სასურველია, რომ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცეს მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეარჩიოს სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;

- მიზანშეწონილია, აკადემიური კურიკულუმი არჩევითის სტატუსით ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი), რაც წინარე მოსამზადებელი საფეხური იქნებოდა იმ სტუდენტთათვის, რომლებიც შემდგომში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე განიზრახავენ სწავლის გაგრძელებას და ჩართვას კვლევებში.

- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები დამატებით პროგრამას (minor, 60 კრედიტის მოცულობით) საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან მიზნობრივად ირჩევდნენ, რათა შემდგომში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში გაეფართოვდეს მათი კომპეტენციები, რაც მათ გაუმარტივებდა დასაქმების ბაზარზე, როგორც სპეციალისტებს, თავის დამკვიდრებას. ასევე, სასურველია, თუ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ის სტუდენტები, ვისაც შემდგომში გადაწყვეტილი აქვთ დასაქმდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგის სტატუსით, დამატებითი პროგრამის კომპეტენციებს შეიძენენ მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფარგლებში. ვინაიდან ზემოხსენებულ უმაღლეს სასწავლებელში არ ფუქციონირებს მსგავსი აკადემიური პროგრამა, მათ შეუძლიათ მიმართონ იმ უმაღლეს - სასწავლებლებს, სადაც ფუნქციონირებს ზემოხსენებული პროგრამა უმაღლეს სასწავლებლებს შორის არსებული მემორანდუმის შემთხვევაში, თუკი არსებობს მსგავსი შეთანხმება, რაც ამ კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციების შემუშავებისთვის. მისი განმარტებით, თარგმნის თეორია და პრაქტიკა გაწერილი იყო სავალდებულო საგნებში. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, პროგრამის ფარგლებში უნდა მომხდარიყო არანაკლებ 120 კრედიტის ათვისება, მათ ჩათვალეს, რომ 130 კრედიტის ათვისება უმჯობესი იქნებოდა. ფილოსოფიის ასპექტები გათვალისწინებულია სოციოლოგიის პროგრამაში, თავისუფალი კრედიტის სახით. რომლის არჩევაც სტუდენტს შეუძლია. ასევე აღინიშნა, რომ რადგან დამატებით სტუდენტებს 40 კრედიტს სთავაზობდნენ, აღარ ჩათვალეს აუცილებლად 60 კრედიტის მინიმუმის შეთავაზება. საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით განმარტეს, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაცია იყო არ გაეთვალისწინებინათ პროგრამაში ბაკალავრიატის დონეზე საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, აკრედიტაციის ექსპერტს, ნინო ქიმერიძეს, მიმართა შეკითხვით, რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ შედგენილი რეკომენდაციები და აღნიშნული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლად, შეძლებს თუ არა პროგრამა დასახულ შედეგებზე გასვლას. ნინო ქიმერიძემ დაადასტურა, რომ პროგრამა გადის შედეგებში, რეკომენდაციებში მან მხოლოდ საკუთარი ხედვა დააფიქსირა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით (სწავლების პირველი საფეხური) მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამის მეორე და მესამე სემესტრში შემოთავაზებული სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის სირთულე იყოს სწავლის საფეხურის ადექვატური. კერძოდ, სავალდებულო ლიტერატურის სიაში შედიოდა ინგლისურენოვანი ლიტერატურაც. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით სასწავლო მასალის ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან შესწავლა მეორე და მესამე სემესტრის სტუდენტისათვის რთული იქნება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციებს. ამასთან, პროგრამის ფარგლებში აღინიშნება ლიტერატურის სიმწირე. შესაბამისად მიმდინარეობს უცხოენოვანი ლიტერატურის ე.წ „რიდერების“ მომზადება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დავით აფრასიძე, ციური დურული, ეკატერინე ჩინჩალაძე, ხათუნა ამალაბელი, ლევან ჯაყელი, თამარ შუდრა. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე აღმწერით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში უცხო ენის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) სწავლებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს B2 დონის მიღწევის მიზნით. ნამდვილად ვთლით რომ გასათვალისწინებელი ხარვეზია ორშაბათს წარდგება აკადემიურ საბჭოზე და ყველა პროგრამაში გაძლიერდება დარგობრივი ენის სწავლება.

- სასურველია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა - განვითარება.

- სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასურველ სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილი იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციებს. ამასთან, საკონტაქტო საათების გაშლასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც ამჟამად გამოსწორებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დავით აფრასიმე, ციური დურული, ეკატერინე ჩინჩალაძე, ხათუნა ამალაშვილი, ლევან ჯაყელი, თამარ შუდრა. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე აღმწერით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში უცხო ენის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) სწავლებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს B2 დონის მიღწევის მიზნით.
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა და /ან სრულყოფა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- კურიკულუმის აღწერაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეტალური გამლა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების (მათ შორის სტუდენტების) მაქსიმალურ ინფორმირებას სასწავლო პროგრამის შესახებ.
- სასურველია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა - განვითარება .
- სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასურველ სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილი იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე აღმწერით („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია გაუმჯობესდეს მატერიალური რესურსი დარგობრივი კუთხით (ტრენინგის ოთახი, ლაბორატორია და ა.შ)

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლი დაეთანხმა აკრედიტაციის რეკომენდაციებს. მატერიალური რესურსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით განაცდა რომ დაწესებულება ელოდება პირველი კორპუსის რემონტის დასრულებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის სრულყოფა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- ცალკეულ სილაბუსში მოცემული სასწავლო კურსის სახელწოდება და სტატუსის (სავალდებულო/ არჩევითი) და კურიკულუმში მოცემული ინფორმაციის თანხვედრა ხელს შეუწყობს სტუდენტის უკეთ ინფორმირებას პროგრამის მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- სილაბუსებში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების დეტალური გაშლა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების (მათ შორის სტუდენტების) მაქსიმალურ ინფორმირებას სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.
- კურიკულუმის აღწერაში ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეტალური გაშლა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების (მათ შორის სტუდენტების) მაქსიმალურ ინფორმირებას სასწავლო პროგრამის შესახებ.
- სასურველია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა - განვითარება .
- სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასურველ სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილი იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც.
- კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით (სწავლების პირველი საფეხური) მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების ფილოსოფია“ სავალდებულო ლიტერატურა იყოს სწავლის საფეხურის ადექვატური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლი დაეთანხმა აკრედიტაციის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდებისა და ფორმატის მკაფიო გამიჯვნა;
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა და /ან სრულყოფა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სილაბუსებში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების დეტალური გაშლა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების (მათ შორის სტუდენტების) მაქსიმალურ ინფორმირებას სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.
- სასურველია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა - განვითარება .
- სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასურველ სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილი იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აკრედიტაციის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე აღმწერით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში უცხო ენის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) სწავლებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს B2 დონის მიღწევის მიზნით.
- სასურველია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა - განვითარება .
- სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასურველ სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების გაშლაში შეყვანილი იყოს შუალედური და საბოლოო გამოცდისისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

